შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№26 (9.640)

19-26 ივლისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს საკრებულოს ახალი თავმჯდომარე და მოადგილე ჰყავს

14 ივლისს ახალი მოწვევის საკრებულო დედოფლისწყაროში შეიკრიბა. წინა საკრებულოსგან განსხვავებით დეპუტატების რიცხვი 27-მდე გაიზარდა. ამჯერად 15 პროპორციული სიით არჩეული დეპუტატია, ხოლო 12 მაჟორიტარი. მათგან 25 მანდატი ქართულ ოცნებას აქვს, ხოლო ორი „ნაციონალურ მოძრაობას“.

საკრებულოს სხდომა დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით ბუჩუკურმა გახსნა და არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაცხადა, შემდეგ კი დარბაზს ახლადარჩეული გამგებელი წარუდგინა.

სხდომა უხუცესმა წევრმა ნოდარ გოგილაშვილმა განაგრძო. დღის წესრიგში ცამეტი საკითხი იყო შეტანილი. რეგლამენტის მიხედვით საკითხების პირველი ნაწილი პროცედურული ხასიათის იყო და ახალი საკრებულოს უფლებამოსილების ცნობას ეხებოდა. მომდევნო საკითხი წინა მოწვევის საკრებულოს ძალადაკარგულად გამოცხადება და ახლადარჩეული დეპუტატების უფლებამოსილების ცნობა იყო.

დედოფლისწყაროს ახალი მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარედ დეპუტატებმა 1979 წელს დაბადებული ზვიად ჯავახიშვილი აირჩიეს. ის „ქართული ოცნების“ პროპორციული სიის მესამე ნომერია. წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, ამჯერად დეპუტატებმა თავმჯდომარე ფარული კენჭისყრით აირჩიეს. „ნაციონალური მოძრაობის“ ორმა წევრმა კანდიდატურის დასახელებამდე განაცხადა, რომ არა პიროვნებას, არამედ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა და კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

„იმის გამო, რომ არჩევნების ღამეს „ნაციონალური მოძრაობის“ ორი წევრი პოლიციამ დააკავა, შემდეგ კი 5000 ლარიანი გირაო შეუფარდეს. აბსურდული ბრალდება იყო პროკურატურის მხრიდან. ამას გარდა, ჩემს ძმას მამუკა ბაღაშვილს კიდევ ერთი საქმე აღუძრეს, თითქოს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. რამდენიმე დასკვნა გვაქვს, რომ ნარკოტიკის კვალი არ აღმოაჩნდა. ამ ფაქტების გამო ჩვენმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რომ ბოიკოტი გამოაცხადოს და კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებთ. პიროვნულად რომ არ იყოს აღქმული, ამიტომ ამ განცხადებას თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელებამდე ვაკეთებთ,“ – აღნიშნა ლევან ბაღაშვილმა.

„ქართული ოცნების“ 25-ივე დეპუტატმა საკრებულოს თავმჯდომარედ ზვიად ჯავახიშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

დედოფლისწყაროს ახლადარჩეული საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი მედიასთან პირველ კომენტარს აკეთებს. ის „შირაქთან“ სამომავლო გეგმებზე ექსკლუზიურად საუბრობს.

(გაგრძელება გვ.3)

ელექტროენერგიის ტარიფი არ გაიზრდება

ელექტროენერგიის ტარიფის გამოანგარიშების ახალი მეთოდოლოგია პოლიტიკური დაპირისპირების საგნად იქცა. ვარაუდებს იმის შესახებ, რომ რეგიონებში ელექტროენერგიის გაძვირებაა მოსალოდნელი, საქართველოს ხელისუფლება მიზანმიმართულ კამპანიად აღიქვამს. რა ხდება სინამდვილეში? გაიზრდება თუ არა ელექტროენერგიის ტარიფი?

”ტარიფებს არანაირი ზრდა არ ემუქრება”, - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ 16 ივლისს გამართულ მთავრობის სხდომაზე და იქვე ისიც განმარტა, რომ უსაფუძვლო ეჭვები ”ენერგო-პრო ჯორჯიას” წარმომადგენლის გაურკვეველმა განცხადებებმა გამოიწვია. სავარაუდოდ, აქ იგულისხმება კომპანიის წარმომადგენელთა ზოგადი განცხადებები იმის თაობაზე, რომ, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა ტარიფიც გაიზარდოს, თუმცა ეჭვები ამ მხრივ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის სიტყვებმაც გაამძაფრა. ”მოლოდინია, რომ ტარიფის მნიშვნელოვნად გაზრდა ნამდვილად არ მოხდება”, - თქვა მარიამ ვალიშვილმა 15 ივლისს, რაც ბევრისთვის იმის მანიშნებელი იყო, რომ ტარიფის გაზრდა, მართალია, არა მნიშვნელოვნად, მაგრამ მაინც არის მოსალოდნელი.

რეგიონებში ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმა და ეჭვები სწრაფად მოექცა ოპოზიციური ფლანგის ყურადღების ცენტრში. ამ კონტექსტში, მაგალითად, ”ნაციონალური მოძრაობის” არაერთმა წარმომადგენელმა შეახსენა კოალიცია ”ქართულ ოცნებას”, რომ მისი ერთ-ერთი უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირება სწორედ ელექტროენერგიის გაიაფება იყო, მაგრამ ახლა პირიქით ხდება.

ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებულ ხმაურს უსაფუძვლოდ, ხოლო შეკითხვებს ამოწურულად მიიჩნევს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელმაც შესაბამისი განმარტებები, როგორც უკვე ვთქვით, ვიცე-პრემიერისგან მოისმინა 16 ივლისის მთავრობის ხსდომაზე. ამ ყველაფრის უკან ირაკლი ღარიბაშვილი მიზანმიმართულს უწოდებს:

”მიმაჩნია, რომ ეს მიზანმიმართული კამპანია იყო... რაღაც აგორებული ტალღა, სრულიად უსაფუძვლო, და ის განცხადებები, რაც გაკეთდა, იყო მიმართული იმისაკენ, რომ მოსახლეობა შეცდომაში შეეყვანათ”.

მართალია, მთავრობა უკვე გადაჭრით ამბობს, ტარიფი არ გაიზრდებაო, მაგრამ სინამდვილეში ამჟამინდელი ტარიფის გადახედვის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ”ენერგო-პრო ჯორჯიამ”, რომელიც ელექტროენერგიით საქართველოს ტერიტორიის 70%-ს ამარაგებს რეგიონებში და 980 000 აბონენტს ითვლის, სატარიფო განაცხადი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, მომსახურების ტარიფების გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ახლახან შეიტანა. როგორც სემეკის მიერ 16 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი, ”სს „ენერგო პრო ჯორჯიასათვის“ სამომხმარებლო ტარიფის შესაძლო მატებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და ამ ეტაპზე ამგვარი პროგნოზების გაკეთება საფუძველს მოკლებულია. სს “ენერგო პრო ჯორჯიას“ კომისიაში შემოტანილი აქვს სატარიფო განაცხადი, რომლის განხილვა და ანალიზი მიმდინარეობს კომისიის აპარატში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული

(გაგრძელება გვ.2)

შემზარავი ტრაგედია

გვ. 2

გაიცანით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები

გვ. 4-5

რატომ გათავისუფლდა მეორე ბაგა-ბაღის დირექტორი?!

გვ. 6

შეეკითხე გამგებელს!

კვირას, დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი თქვენს შეკითხვებს უპასუხებს. დარეკეთ „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში კითხვა დაუსვით ახლადარჩეულ გამგებელს და მოისმინეთ თქვენთვის საინტერესო პასუხები

„ობიექტივზე“

0322 388-105

27 ივლისს

კვირა 17:30

საქართველოს მასშტაბით 61 ამბულატორია დამონტაჟდა

82 ამბულატორიის მშენებლობის ფარგლებში, რომელიც წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ქვეყნის მასშტაბით 61 ამბულატორია უკვე დაამონტაჟა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, 61 სოფელში მცხოვრებ მოსახლეობას უკვე შესაძლებლობა აქვს პირველადი ჯანდაცვა მიიღოს.

პროექტს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ერთობლივად ახორციელებენ. ამბულატორიები მთელი საქართველოს მასშტაბით მონტაჟდება იმ სოფლებში, სადაც დღემდე ამ ტიპის მომსახურება მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. პროექტის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მაღალმთიან და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს ექცევა.

ამჟამად ამბულატორიების მონტაჟი უკვე დასრულებულია იმერეთის რეგიონში, სადაც ჯამში 12 ამბულატორია გაკეთდა. კერძოდ, ხონის მუნიციპალიტეტის - სოფელ საწულუკიძეოში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის - სოფელ ხრესილში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის - სოფელ რიონში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის - სოფელ რუფოთში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის - სოფელ წიფაში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის - სოფელ მანდაეთში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის - სოფელ აჯამეთში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის - სოფელ საჯავახოში, საჩხერის მუნიციპალიტეტის - სოფელ გორისაში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის - სოფელ ზედა დიმში, ვანის მუნიციპალიტეტის - სოფელ საპრასიაში, საჩხერის მუნიციპალიტეტის - სოფელ პერევში.

რვა ამბულატორია უკვე დამონტაჟდა სამეგრელო-ზემო სვანეთში, ჯამში აქ ცხრა ამბულატორია უნდა გაკეთდეს. ამბულატორიები უკვე დაიდგა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის - სოფელ ინგირის თემში და სოფელ განმუხურში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის - სოფელ საჩინოს თემში, მარტვილის მუნიციპალიტეტის - სოფელ იჩხურში, აბაშის მუნიციპალიტეტის - სოფელ ენერში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის - სოფელ ახუთის თემში, ხობის მუნიციპალიტეტის - სოფელ შავღელეში, სენაკის მუნიციპალიტეტის - სოფელ უშაფათში.

გურიის რეგიონში სამივე ამბულატორია დამონტაჟებულია. კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის - სოფელ დვაბზუში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის - სოფელ ერკეთში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - სოფელ აკეთში.

აჭარაში ჯამში 5 ამბულატორიის დამონტაჟება იყო დაგეგმილი და დღეისთვის ხუთივე გამართულია. კერძოდ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის - სოფელ შარაბიძეების თემში, იბუკეთის მუნიციპალიტეტის - სოფელ ჩოლოქის დასახლებაში (ხულოს ქუჩა), დაბა ქედას მუნიციპალიტეტის - სოფელ დაბა ქედაში, დაბა შუახევის მუნიციპალიტეტის - სოფელ ხიჭაურში და დაბა ხულოს მუნიციპალიტეტის - სოფელ დიდაჭარაში.

კახეთის რეგიონში სულ 8 ამბულატორია აშენდა: თელავის მუნიციპალიტეტის – სოფელ შალაურში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის – სოფელ კართუზანში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის – სოფელ მაშნაარში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის – სოფელ მუკუზანში, ახმეტის მუნიციპალიტეტის – სოფელ საქობიანოში, ყვარლის მუნიციპალიტეტის – სოფელ კუჭატანში, დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტის – სოფელ არგოშიკში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის – სოფელ უდაბნოში.

შიდა ქართლში ჯამში 21 ამბულატორია უნდა აშენდეს, საიდანაც 20 უკვე დამონტაჟებულია.

გორის მუნიციპალიტეტის სოფლები ახრისი, ფლავი, ქვემო არცევი, აძვი, ჯარიაშენი, კირბალი, ხვითი, მეღვრეკისი, ერგნეთი, ქერე, ქორდი, წითელუბანი. კასპის მუნიციპალიტეტის სოფლები - თეზი, რენე, თვაურები. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში - რუისი, თამარაშენი, კოდა, ავლევი, ბრეძა.

მცხეთა-მთიანეთში სულ 5 ამბულატორია უნდა გაკეთდეს, საიდანაც 2 უკვე დამონტაჟებულია, კერძოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისში და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ფასანაურში.

ქვემო ქართლში სულ 6 ამბულატორიის გაკეთებაა დაგეგმილი, საიდანაც 2 უკვე დამონტაჟებულია.

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფრეთში და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რანჩპარში. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, აქ 6 ამბულატორია გაკეთდება, საიდანაც ერთი უკვე დამონტაჟდა, კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში.

ყველა შენობა მომზადებულია სენდვიჩპანელებისგან, რომელიც 2 გამათბობლითა და 2 სველი წერტილით არის აღჭურვილი. ყველა ამბულატორია სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები პერმანენტულ მონიტორინგს განახორციელებენ, რათა ამბულატორიების მშენებლობის პროცესი დათქმულ ვადებში და ხარისხიანად განხორციელდეს.

არჩილ თალაკვაძე – ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია ჭორია

სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილის არჩილ თალაკვაძის ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია ჭორია.

როგორც მან დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ადეკვატურად იქცევა და ამ ეტაპზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ჩივილები არ აქვს.

მისივე თქმით, ყველა პატიმარს კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევები წელიწადში ერთხელ უტარდება და ამ სერვისით ვანო მერაბიშვილიც ისარგებლებს.

„ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას იცავს კანონი და კონფიდენციალურობის პრინციპი, თუმცა გუშინდელ ჭორებთან დაკავშირებით უნდა გითხრათ, რომ ის იქცევა ადეკვატურად და ჩვეულებრივ, როდესაც აქვს ხოლმე ჩივილები, მიმართავს პირველად სამედიცინო რგოლს, რომელიც იმ დაწესებულებაში მუდმივად არის ხელმისაწვდომი. მას უკვე ჩაუტარდა მათივე ნდობით აღჭურვილი ექიმების ჩართულობით კომპლექსური გამოკვლევები, რომლის შესახებ ინფორმაციის გავრცელების თანხმობა მისგან მივიღეთ. მაშინ გაირკვა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი და რაიმე სერიოზული სამედიცინო ჩარევა არ დაჭირვებია. ინფორმაცია, რომელიც გუშინ გავრცელდა, არის ჭორი", - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საკანში ვანო მერაბიშვილი ტანსაცმლის ჩაცმაზე უარს ამბობს, კედელზე თავს ურტყამს და ამბობს, რომ ვარჯიშობს.

შემზარავი ტრაგედია
ვინ ჩამოაგდო ბოინგი?

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „შემზარავი ტრაგედია" უწოდა მალაიზიის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფას აღმოსავლეთ უკრაინაში. „მსოფლიო თვალყურს ადევნებს რუსეთ-უკრაინის საზღვარზე ჩამოვარდნილი მალაიზიის ავიახაზების თვითმფრინავის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციებს. აშკარაა, რომ საშინელი ტრაგედია დატრიალდა." ობამას განცხადებით, აშშ-ის ხელისუფლება ადგენს, იყვნენ თუ არა თვითმფრინავში ამერიკის მოქალაქეები. ეროვნული უსაფრთხოების აპარატს ობამამ უკრაინის მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტში ყოფნა დაავალა და აღნიშნა, რომ ამერიკელი სპეციალისტები მზად არიან, თვითმფრინავის ჩამოვარდნის მიზეზების დასადგენად უკრაინელ კოლეგებს ნებისმიერი სახის დახმარება გაუწიონ. აშშ-ის პრეზიდენტმა მიუსამძიმრა ავიაკატასტროფის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს.

მალაიზიის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი 17 ივლისს ჩამოვარდა აღმოსავლეთ უკრაინაში, რუსეთის საზღვრის მახლობლად. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა, არსენი იაცენიუკმა, მყისვე გასცა ავიაკატასტროფის გამოძიების განკარგულება. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს მრჩეველმა, ანტონ გერაშჩენკომ განაცხადა, რომ თვითმფრინავი „მიწა-ჰაერის" კლასის რაკეტამ ჩამოაგდო. კატასტროფის შედეგად დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი 295-ვე პირი: 280 მგზავრი და ეკიპაჟის 15 წევრი. ექსპერტთა ცნობით, ამსტერდამიდან კუალა ლუმპურის მიმართულებით მიმავალი „ბოინგ 777" ათი კილომეტრის სიმაღლეზე მიფრინავდა, როცა მას რაკეტა მოხვდა.

აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების მიერ გამოცხადებული „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის" პრემიერ-მინისტრი ალექსანდრ ბოროდაი ირწმუნება, რომ თვითმფრინავი უკრაინის საჰაერო ძალებმა ჩამოაგდეს. 17 ივლისს უფრო ადრე, კიევმა რუსი სამხედროები დაადანაშაულა უკრაინის სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდებაში. რუსეთი ამ ბრალდებას უარყოფს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მალაიზიის „ბოინგის" კატასტროფისთვის პასუხისმგებლობას უკრაინას აკისრებს. „უდავოა, რომ სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ეს, პასუხს აგებს ამ საშინელი ტრაგედიისთვის, - განაცხადა პუტინმა. მისივე თქმით, ტრაგედია არ მოხდებოდა, ამ მიწაზე მშვიდობა რომ იყოს და აღმოსავლეთ უკრაინაში არ მიმდინარეობდეს საომარი მოქმედებები. რუსეთის პრეზიდენტმა მთავრობას დაავალა, ყოველი ღონე იხმაროს კატასტროფის „ობიექტური სურათის დასადგენად".

როგორც აშშ-ის უშიშროების სამსახურების სპეციალისტები მიიჩნევენ, „ბოინგ-777" ჩამოგდებულ იქნა რაკეტით „მიწა-ჰაერი". ახლა სპეციალისტები იმის დადგენას ცდილობენ, ვინ გაუშვა რაკეტა. ამერიკელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თვითმფრინავი, რომელიც ათი კილომეტრის სიმაღლეზე მიფრინავდა, შეიძლებოდა ჩამოეგდოთ მხოლოდ სარაკეტო კომპლექს შბუკით" „ეს-300"-ის ტიპის საზენიტო კომპლექსით. ასეთ სისტემებს რუსეთიც ფლობს და უკრაინაც.

ელექტროენერგიის ტარიფი არ გაიზრდება

(პირველი გვერდიდან)

წარმოების წესით. ტარიფის გაანგარიშება მოხდება ახალი სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ცალსახად გამჭვირვალე და სამართლიანი ტარიფის დადგენას".

რაც შეეხება „ენერგო-პრო ჯორჯიას", მითქმა-მოთქმისა და კამათის შემდეგ გამოქვეყნებულ ბოლო განცხადებაში კომპანია აღნიშნავს, რომ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი:

„ენერგო-პრო ჯორჯიას" არ აქვს ინფორმაცია სექტემბრიდან ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებით, რადგან ტარიფთან დაკავშირებული საკითხი ჯერ კიდევ განიხილება. 2014 წლის სექტემბერში ვადა გასდის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" შორის გაფორმებულ მემორანდუმს ტარიფთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომპანიამ სემეკს მიმართა განაცხადით ტარიფის გადახედვის თაობაზე. ტარიფის გადახედვა ცალსახად არ ითვალისწინებს ტარიფის ზრდას. უკვე რამდენიმე კვირაა მიმდინარეობს კონსულტაციები კომპანიასა და სემეკში; განიხილება ტარიფის შემადგენელი ყველა კომპონენტი და მხოლოდ განხილვის შემდეგ გახდება ცნობილი, ტარიფი შეიცვლება თუ დარჩება უცვლელი. შესაბამისად, კონსულტაციების შემდგომი დასკვნის გარეშე, ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებით კომპანია კომენტარს ვერ გააკეთებს".

ვიდრე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია - პოლიტიკური გავლენისგან დამოუკიდებელი ორგანო - დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პოლიტიკოსებმა დასკვნების გამოტანისგან თავი უნდა შეიკავონ, - ამბობს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან ალაფიშვილი:

"ეს საკითხი, ტარიფების საკითხი, გადასაწყვეტია კომისიის მიერ, მათ შორის მთავრობისგან დამოუკიდებელი კომისიის მიერ, რომელსაც, თავის მხრივ, აქვს ვალდებულება, რომ, ერთი მხრივ, საჯარო ინტერესები გაითვალისწინოს, მომხმარებლების ინტერესები - მოსახლეობა იქნება ეს თუ სახელმწიფოს ინტერესები - და, მეორე მხრივ, არ დააზარალოს თვითონ ინვესტორი, იქნება ეს მოგება თუ სხვა სარგებელი, რაც კომპანიამ უნდა მიიღოს".

შესაბამისად, ვიდრე ტარიფების გადახედვის პროცესი არ დასრულებულა, ლევან ალაფიშვილის შთაბეჭდილებით, ნაადრევია ეჭვებზე ლაპარაკი და ეს ყველაფერი არაჯანსაღ პროცესებზე მიანიშნებს. დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, თბილისის მსგავსად, ელექტროენერგია, მოხმარების ოდენობის შესაბამისად, 3-4 თეთრით რეგიონებშიც გაიაფდა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

დედოფლისწყაროს საკრებულოს ახალი თავმჯდომარე და მოადგილე ჰყავს

(პირველი გვერდიდან)

„მოგეხსენებათ, კოალიცია მაქსიმალურად მაღალი პროცენტით გავიდა საკრებულოში, რა თქმა უნდა ჩვენს პასუხისმგებლობას სრულად ვაცნობიერებთ და არ დავიშურებთ ძალებს, რათა ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობებს ღირსეულად გავუძღვეთ და მოსახლეობის საკეთილდღეოდ ვიმუშავოთ. გეგმები ბევრია, დღევანდელ რეალობაში გამოკვეთილი საკითხი უამრავია, ყველა სფეროზეა აქცენტი გასაკეთებელი. ვეცდებით, მოსახლეობას ყველაფერში გვერდით დავუდგეთ. რაც შეეხება მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს, გამორიცხული არაფერი არ არის. შევხვდები თანამშრომლებს, პირადად გავესაუბრები და, ალბათ, გადაწყვეტილებას მათი კომპეტენციის და საქმისადმი დამოკიდებულების მიხედვით მივიღებთ," – აღნიშნავს ზვიად ჯავახიშვილი.

თავის მხრივ ჯავახიშვილმა მისი მოადგილის კანდიდატურად ნუგზარ პაპიაშვილი დაასახელა. მოგვიანებით მოადგილის ასარჩევადაც ფარული კენჭისყრა გაიმართა და ისიც 25 ხმით დაამტკიცეს.

შემდეგ საკრებულომ მუნიციპალიტეტის საზღვრები დაადგინა, მოგვიანებით კი ძალადაკარგულად გამოცხადდა დედოფლისწყაროს გამგეობის ტერიტორიული ორგანოების და ადმინისტრაციული ერთეულების შესახებ საკრებულოს 2006 წლის №34 განკარგულება და 2012 წლის №7 განკარგულება, რომლითაც ტერიტორიული ორგანოების დებულებები გამოცხადდა ძალადაკარგულად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოები გაუქმდა, გაუქმებულია რწმუნებულის თანამდებობაც, რომელსაც ადმინისტრაციული ერთეული და გამგებლის წარმომადგენელი ჩაანაცვლებს.

ახალი საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე წინა მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილება შეუწყდა. სხდომის დასრულებას საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი საკუთარ კაბინეტში ელოდა, რომელსაც სხდომაზე დასწრების სურვილი არ გასჩენია. ახლადარჩეულ თავმჯდომარესა და მის მოადგილეს კაბინეტში სწორედ ლევან ნატროშვილი დახვდა, რომელმაც სამუშაო ოთახი და ნივთები ზვიად ჯავახიშვილს გადააბარა. შეთავაზების მიუხედავად ლევან ნატროშვილმა კომენტარის გაკეთება და მისი საკრებულოში საქმიანობის შეფასება არ ისურვა.

სხდომის დასრულების შემდეგ „შირაქი" ახლადარჩეული დეპუტატების განწყობით და სამომავლო გეგმებით დაინტერესდა და მათი მოსაზრებები მოისმინა.

ნუგზარ პაპიაშვილი: „დადებითი განწყობა და მოლოდინი მაქვს იმის, რომ ისეთ პროექტებს განვახორციელებთ, რომელიც ჩვენს რაიონს წაადგება. ამავდროულად ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გვაქვს იმ ხალხის მიმართ, რომელთაც ნდობა და მანდატი მოგვცეს იმისათვის, რომ ოთხი წლის განმავლობაში კეთილი საქმე ვაკეთოთ ხალხის სასარგებლოდ. ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. რა თქმა უნდა სასიამოვნოა, რომ საქართველოს მასშტაბით დედოფლისწყარომ არჩევნებში ყველაზე მაღალი მხარდაჭერა აჩვენა. ეს არის სასიხარულოც და ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობის დაკისრება იმ ადამიანების მხრიდან, რომელთაც ასე გამორჩეულად დაგვიჭირეს მხარი. მოლოდინი გვქონდა, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ დიდი მხარდაჭერა იქნებოდა, რადგან, დედოფლისწყაროში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა და ნათელია, რომ ხალხმა ეს დაინახა და დააფასა."

მიხეილ ბახუტაშვილი: „მინდა გითხრათ, რომ ძალიან ამაღლებული განწყობა მქონდა პირველ სხდომაზე. ჩემთვის სრულიად ახალი ამპლუა იყო და ძალიან საინტერესო ჩანს საკუთარ რაიონს ამ კუთხით ემსახურო. კარგი დასაწყისი საქმის კარგად კეთების წინაპირობაა და ენერგიულად ვარ, სრული მზადყოფნა მაქვს ამომრჩევლის სამსახურში ჩავდგე და მათი შენიშვნები გავითვალისწინო".

ლია ნატროშვილი: „რადგან ხალხის რჩეულები ვართ, ვფიქრობ, ხალხის ნება გამოვხატოთ საკრებულოში და ამიტომ მოვედი საკრებულოში. პირველ რიგში დავიცვა კანონი და, შესაძლებლობის ფარგლებში, ხალხისთვისაც სასიკეთო გავაკეთო და საკუთარი თავისთვისაც"

გია გოგილაშვილი: „ნამდვილად დიდი ენთუზიაზმით მოვედი. ადრეც ორჯერ ვიყავი ქალაქის დეპუტატი. დღეს უკვე მოსახლეობა ხან რა საკითხზე მირეკავს ხან რაზე და უკვე გვაქვს გარკვეული მონახაზი, რა საკითხები უნდა დავაყენოთ საკრებულოს წინაშე. ასევე, სოფელ ხორნაბუჯს სკოლას აქვს პრობლემა, შეკეთება ესაჭიროება. მაქსიმალურად ვეცდები მოსახლეობის პრობლემები საკრებულოში მოვიტანო".

ერთი შეხედვით ახალი მოწვევის საკრებულო წინამორბედისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მანამდე ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი იყო, ახლა კი ორია. დედოფლისწყაროს 2010 წლის მოწვევის საკრებულოში ქრისტიან დემოკრატების მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა გოდერძი აბულაშვილმა მიიღო დეპუტატის მანდატი. სრული უმრავლესობა კი ნაციონალურმა მოძრაობამ შეავსო.

ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი აქტიურობითა და ოპონირებით არც მანამდე გამოირჩეოდა, თუმცა, მალევე ქრისტიან დემოკრატ გოდერძი აბულაშვილს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, რის შემდეგაც უფუნქციო გახდა. ამის მიუხედავად, პარტიას საკრებულოში წევრი არ შეუცვლია.

ვადის პირველ ნაწილში, როდესაც საკრებულოს ლევან ბაღაშვილი ხელმძღვანელობდა, დაცული იყო საჯაროობის პრინციპი, ხდებოდა სხდომების წინასწარ ანონსირება. შუქდებოდა სხდომებზე განხილული საკითხები. საკრებულოს გააჩნდა საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში სხვადასხვა სახის ინფორმაცია და ფოტომასალა თავსდებოდა, გამოქვეყნებული იყო დეპუტატების ბიოგრაფია და საკონტაქტო ნომრები.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა, საკრებულომ ერთიანად ფერი იცვალა. ფრაქციები ერთმანეთის თანმიმდევრულად დაიშალა, დეპუტატთა სრული უმრავლესობა აცხადებდა, რომ ნეიტრალური იყო. საკრებულოს თავმჯდომარედ ლევან ნატროშვილის არჩევისთანავე ერთმნიშვნელოვნად დაიხურა საკრებულოს სხდომები. წელიწადნახევრის განმავლობაში მას ჟურნალისტები თითქმის არასოდეს ესწრებოდნენ. აბსურდული მიზეზით გაუქმდა თვითმმართველობის ოფიციალური ვებ-გვერდი, შეწყდა სხდომების დაანონსება და გაშუქება. სწორედ ამიტომ, საკრებულოს ვადის მეორე ნახევარს უკან გადადგმულ ნაბიჯად აფასებს ადგილობრივი მედია.

წინა მოწვევის საკრებულოს მუშაობას აფასებს ყოფილი თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი.

ლევან ბაღაშვილი: „მეოთხე მოწვევის საკრებულოს წევრი გავხდი და ამ ინსტიტუტის ზრდამ ჩემს თვალსა და ხელს შუა გაიარა. წინა მოწვევის საკრებულოში ორი წელი მომიწია ხელმძღვანელობა და ვიტყოდი, რომ წინა საკრებულომ საკმაოდ ძლიერი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. ამ პერიოდში ბიუჯეტი ნორმალურად გაიწერა, ბევრი ორგანიზაცია ორგანიზაციას დაემსგავსა და ამიტომ დღევანდელ საკრებულოს ისეთი ფუნდამენტური ცვლილებები შესატანი აღარ ექნება. იმ ინსტიტუტების ხელახლა აწყობა აღარ მოუწევთ, რომელიც ჩვენ გასულ წლებში მოვახერხეთ. ახლა მთავარია, ეს ორგანიზაციები უფრო გავაძლიეროთ და შესაბამისი გადაწყვეტილებები გამოვიტანოთ. რაც შეეხება გარდამავალ პერიოდში, ბოლო ორი წლის განმავლობაში საკრებულო იყო ისეთი, რომ ბევრი ვერ აცნობიერებდა მის ფუნქციას და სხვადასხვა საკითხებს ხმებს ისე აძლევდნენ. ამ თემაზე კომენტარი ბევრჯერ გავაკეთე, სამწუხაროდ, საკრებულოში, სადაც სულ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იყვნენ, ბოლოს მხოლოდ სამი დარჩა და მათი ხმა აღარაფერს ნიშნავდა".

ილია მარტყოფლიშვილი

ღარიბაშვილი – ჩვენი ხალხი მალე შეძლებს ყველა იმ სიკეთით სარგებლობას, რომელსაც ევროპული ქვეყნები აძლევენ თავიანთ მოქალაქეებს

ჩვენ ვალდებული ვართ ვიშრომოთ თავდაუზოგავად, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ—მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

როგორც დეპუტატების წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს პრემიერმა აღნიშნა, საქართველოს ურყევი ნებაა საბოლოოდ დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი ევროპის ერთიან ოჯახში.

"ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით ჩვენთვის იწყება ევროინტეგრაციის პროცესის ახალი ეტაპი - საინტერესო და გამოწვევებით აღსავსე გზა ევროპისკენ, რომელიც თითოეული ჩვენგანისგან - მთავრობისგან, პოლიტიკური ძალებისა და მთელი საზოგადოებისგან - მოითხოვს დიდ ძალისხმევას, თავდადებასა და ურთიერთთანადგომას. ჩვენ ვალდებული ვართ ვიშრომოთ თავდაუზოგავად, რათა საბოლოოდ ვიყოთ იქ, სადაც ჩვენ ვხედავთ ჩვენი განვითარების პერსპექტივას, იქ, სადაც უსაფრთხოდ, დაცულად ვიგრძნობთ თავს, სადაც ჩვენი თვითმყოფადობა სხვებისთვის მხოლოდ და მხოლოდ საინტერესო და პატივსაცემი იქნება", — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერის განცხადებით, ასოცირების შეთანხმება არის საქართველოს ევროპეიზაციის სამოქმედო გეგმა და ქვეყანამ ეს გეგმა ზედმიწევნით უნდა განახორციელოს. "ეს გეგმა გულისხმობს დემოკრატიული პრინციპების ერთგულებას და მე მჯერა, რომ ეს იქნება თავდაუზოგავი შრომის პროცესი. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ხალხი მალე შეძლებს ყველა იმ სიკეთით სარგებლობას, რომელსაც ევროპული ქვეყნები აძლევენ თავიანთ მოქალაქეებს", — დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განცხადებით, საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს, რომელიც ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილია და დიდ შესაძლებლობას აძლევს ქართველ ხალხს, ბიზნესმენებს, გავიდნენ მსოფლიოს ყველაზე მდიდარ და მრავალრიცხოვან ბაზარზე.

"ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის დღის წესრიგის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებში. ამ პროცესში წინსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგან უვიზო მიმოსვლა ყველაზე ხელშესახებ შედეგებს მოუტანს ჩვენს მოქალაქეებს. მეტიც, გაზრდილი მიმოსვლა გააღრმავებს ადამიანთა შორის კონტაქტებს და განამტკიცებს კავშირებს ბიზნესის, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით", — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მიხარია, რომ დღეს ვარ საქართველოს პარლამენტში, სადაც ვხედავ ასეთ ერთსულოვნებას. ეს არის მთავრობა, ეს არის უმრავლესობა, ეს არის უმცირესობა – ყველა გაერთიანებული ვართ ერთი იდეით, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლის განაცხადა.

მან შეკრებილ საზოგადოებას ასოცირების შეთანხმების ერთხმად რატიფიცირება მიულოცა. "მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ჩართული იყო ამ გრძელი გზის წარმატებულად გავლაში და მე მინდა, მივულოცო ევროპას და ევროპელებს, პირველ რიგში ქართველებს, როგორც ევროპის შემადგენელ ერს, ის, რომ დღეიდან ევროპა კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო სტაბილური და კიდევ უფრო კულტურულად მრავალფეროვანია", - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თავის მხრივ, ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების შესახებ პარლამენტის დადგენილებას, რის შემდეგაც სასესიო დარბაზში ევროკავშირის ჰიმნი შესრულდა.

გაიცანით, დედოფლისწყაროს

პროპორციული სისტემით არჩეული საკრებულოს წევრები:

ზვიად ჯავახიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე, „ქართული ოცნება“, 35 წლის, იურისტი.

ნუგზარ პაპიაშვილი- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,„ქართული ოცნება“, 56 წლის, პედაგოგი.

მამუკა სეფიაშვილი-„ქართული ოცნება“, 40 წლის, იურისტი.

ბესიკ ქავთარაძე - „თავისუფალი დემოკრატები“, 44 წლის, ეკონომისტი.

დავით ალულიშვილი - „ქართული ოცნება“, 52 წლის, ინჟინერ-მექანიკოსი.

ნოდარ გოგილაშვილი - „კონსერვატიული პარტია“, 62 წლის, ინჟინერ-მექანიკოსი.

თემურ ოზგეთელაშვილი - „ქართული ოცნება“, 54 წლის, ეკონომისტი.

დავით წიკლაური - „ეროვნული ფორუმი“, 53 წლის, პედაგოგი.



სოსო ჯამასპიშვილი - „ქართული ოცნება“, 55 წლის, ეკონომისტი.

აკაკი ნატროშვილი - „რესპუბლიკური პარტია“, 43 წლის, იურისტი.



ქეთევან დოლიძე - „ქართული ოცნება“, 50 წლის, პედაგოგი.

ლია ნატროშვილი - „რესპუბლიკური პარტია“, 50 წლის, პედაგოგი.

გია ფუტკარაძე - „ქართული ოცნება“, 21 წლის.

ლევან ბაღაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 35 წლის, ეკონომისტი.

ლევან იაკობიშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 35 წლის, იურისტი.

მაჟორიტარული სისტემით არჩეული საკრებულოს წევრები:

მიხეილ ბახუტაშვილი - ქ. დედოფლისწყარო, „ქართული ოცნება“, 46 წლის, პედაგოგი.

არსენ ბაღაშვილი - არბოშიკი, „ქართული ოცნება“, 26 წლის, ეკონომისტი.

გოჩა ანთაური - არხილოსკალო, 47 წლის, ინჟინერ-ჰიდრომელიორატორი.

გივი გიგაური - გამარჯვება, „ქართული ოცნება“, 45 წლის, ისტორიკოსი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები:

ალექსანდრე ბენაშვილი - ზემო მაჩხაანი, „რესპუბლიკური პარტია“, 33 წლის, ინჟინერ-მექანიკოსი.

ნიკოლოზ ხუციშვილი - ზემო ქედი, „თავისუფალი დემოკრატები“, 32 წლის, ინჟინერ-გეოლოგი.

ზაზა მეხრიშვილი - ოზაანი, „მრეწველობა გადარჩენს საქართველოს“, 42 წლის, ეკონომისტი.

მერაბ ცეცხლაძე - სამთაწყარო, „მრეწველობა გადარჩენს საქართველოს“, 34 წლის.

დავით ხუმარაშვილი - ქვემო ქედი, „ქართული ოცნება“, 55 წლის, აგრონომი.

ვასილ ჩოვუშიანი - საბათლო, „კონსერვატიული პარტია“, 41 წლის.

გიორგი გოგილაშვილი - ხორნაბუჯი, „ქართული ოცნება“, 58 წლის, ფიზიკოსი.

გოჩა სამუკაშვილი - სამრეკლო, „ქართული ოცნება“, 41 წლის, ეკონომისტი.

ისევ ფიქრები არჩევნებზე

კიდევ ერთი არჩევნები გადავიარეთ და ჩავამთავრეთ. შედეგებით ზოგი კმაყოფილია, ზოგი უკმაყოფილო. გამარჯვებულებს მიაჩნიათ, რომ არჩევნები დემოკრატიულად, პოლიტიკური აქტივობის თანაბარ პირობებში ჩატარდა, ასე არ ფიქრობენ დამარცხებულები-მათი აზრით, წინასაარჩევნო პერიოდშიც და არჩევნების დღესაც მრავალი დარღვევა დაფიქსირდა. თუმცა, დამკვირვებლები, მათ შორის საერთაშორისო დონისაც და არასამთავრობოებიც, ფიქრობენ, რომ დარღვევები, რომელიც დაფიქსირდა, ძირითადად ადმინისტრაციული ხასიათის იყო და საბოლოო შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენდა. ამაზე ოფიციალური ციფრებიც მეტყველებენ. როცა გამარჯვებულს ამომრჩეველთა 70-80% უჭერს მხარს და ოპონენტს მისი მხოლოდ მესამედი, ცხადია, რაგინდ „შარები” მოიგონონ, მოგების შანსი გამორიცხულია. ამიტომ არიან თავდაჯერებული გამარჯვებულები. მაგრამ, აქვე ჩნდება ლოგიკური კითხვა: ვისი და რისი 70-80% -ია ეს, როცა არჩევნებზე მოსახლეობის ნახევარიც კი არ მიდის? როცა საპრეზიდენტო არჩევნები დამთავრდა, მაშინაც სწორედ ამ სათაურით „ფიქრები არჩევნებზე“ გავაკეთე სტატია, სადაც ჩემი აზრი დავაფიქსირე, რომ უფლება, მოვალეობის გარეშე, არ არსებობს. ისინი, ვინც არჩევნებზე არ მივიდნენ, (არა აქვს მნიშვნელობა რა მიზეზით) მხოლოდ უფლებაზე საუბრობენ და ავიწყდებათ, რომ მართალია, კანონით არჩევნებში მონაწილეობა ნებაყოფილობითია, მაგრამ მათი მოქალაქეობრივი ვალია, გამოხატონ თავიანთი პოზიცია. იმ წერილში ვამბობდი, რომ საჭიროა, კანონი გამკაცრდეს და არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდეს-მეთქი. ბევრმა მაშინ ყიჟინა დამცა, მაგრამ ახლა, როცა ამ საკითხზე ცნობილი და ავტორიტეტული ექსპერტებიც ალაპარაკდნენ, უფრო განმიმტკიცდა ეს აზრი, რადგან არჩეული მერი თუ გამგებელი ყველასია, მარტო 30-35 პროცენტმა რატომ უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა, სხვის მაგივრადაც ენდოს ვინმეს?! მერე ის, ვინც არჩევნებზე არ მივიდა, ჩემს მიერ არჩეულ ხელმძღვანელს ჩემზე მეტად, ათასგზის შეაწუხებს და თავისი პრობლემების მოგვარებას მთელი კატეგორიულობით მოსთხოვს, მაგრამ არ დაფიქრდება იმაზე, რა პირით, რა უფლებით, მას ხომ ის არ აურჩევია?! ამიტომ, ყველამ უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. მერე ყველაფერს მთავრობას ვაბრალებთ, ჩვენ მსხვერპლის მანტიას ვირგებთ და პასუხისმგებლობას თავიდან ვიცილებთ. ამბობენ, ხალხი გულგატეხილია და იმიტომ არ მივიდა არჩევნებზეო. ეს უაზრობაა, პირიქით, სწორედ რომ უნდა მივიდეთ და დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი, თუ გინდ, უარყოფითიც და ყველა კანდიდატი გადავხაზოთ. სწორედ ამით ვაგრძნობინოთ ხელისუფლებას, რომ მათი მუშაობით კმაყოფილი არ ვართ. ეს ყველაფერი ასე უფრო ლოგიკურად მიმაჩნია, ვიდრე ის, რომ ჩვენ არხეინად სახლში ვიჯდეთ იმ იმედით, მაინც ამას და ამას აირჩევენ, ან გაბრაზებული ვარ და სულაც არ მივალ არჩევნებზეო. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არის კანონი არჩევნებში სავალდებულო-საყოველთაო მონაწილეობის შესახებ და ამის დარეგულირების მეთოდებიც

მრავლადაა-ჯარიმები, შეზღუდვები დასაქმებაში და სხვადასხვა აკრძალვები, რაც მე, პირადად, სამართლიანად მიმაჩნია და არამცდა არამც არ ვფიქრობ, რომ ეს ადამიანის უფლების დარღვევა იქნება.

კანონში შესატან კიდევ ერთ ცვლილებაზე მინდა ყურადღება გავამახვილო: - არჩევნების დღეს დიდი შეხლა-შემოხლა და ვნებათაღელვა იყო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც ერთმანეთს, ძირითადად, „ოცნების” და „ნაცმოძრაობის” წარმომადგენლები უპირისპირდებოდნენ. ისინი ერთმანეთს ამომრჩევლის გადაბირებისა და არაკანონიერად წარმართული აგიტაციის თაობაზე ედავებოდნენ. მსგავსი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, კანონმა დაარეგულიროს და იმ დღით ყველგან და ყველანაირი სააგიტაციო მუშაობა აიკრძალოს. ეს ხომ ასეთი მარტივია, რად უნდა ამას პერიმეტრების მოზომვა და სხვა. თუ მთელ წინასაარჩევნო პერიოდში შესაბამისად არ იმუშავე, იმ ერთ დღეს რაღა ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?!

ზოგადად კი, მინდა გითხრათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კიდევ ერთი წინგადადგმული (პოლიტიკური და არა ეკონომიკური) ნაბიჯი რომ იყო, ეს ცხადია. პირველად, ჩვენს ცხოვრებაში, მეორე ტური დაინიშნა და არც თუ მცირე მასშტაბით: 8 თვითმმართველ ქალაქში და 13 მუნიციპალიტეტში მეორე ტური ჩატარდა, სადაც მმართველმა პარტიამ დამაჯერებლი გამარჯვება მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა აქტივობა, ძირითად არჩევნებთან შედარებით, დაბალი იყო, კანდიდატები მადლიერნი არიან იმ ამომრჩევლების, რომლებმაც ამ პაპანაქება სიცხეში არ დაიზარეს და მივიდნენ საარჩევნო უბნებზე, ზოგმა შვებულება გადადო, ზოგი სპეციალურად ამ დღისთვის ჩავიდა ძირითად საცხოვრებელ ადგილას, რათა თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა. ერთი ჩემი ნაცნობიც გაემგზავრა დედაქალაქში. მის წასვლას მეორემ ასეთი კომენტარი მოაყოლა: ოჰ, ახლა ძალიან ენაღვლება, ვინ გაიმარჯვებს, იმიტომ წავიდა, რომ მისი შვილი, რომელიც დედაქალაქში ცხოვრობს და მუშაობს, სამსახურიდან არ გამოაგდონო. ძალიან ცუდია, როცა ასე ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელ მთავრობას ასეთ ქმედებაში ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ. გამონაკლისი ყველგან ხდება, შეიძლება რომელიმე ჩინოვნიკი, ნაციონალებისგან გადმოყოლილ ამ მავნე პრაქტიკას კიდევ იყენებს, მაგრამ ზოგადად მთავრობა არჩევნებში რომ ნაკლებად ერევა, ეს ცხადია. ამას ისიც მეტყველებს, რომ პირველ ტურში მმართველი პარტიის ბევრ კანდიდატს სულ რაღაც ათიოდე ხმა დააკლდა გამარჯვებამდე, მაგრამ არ გაყალბებულა ოქმები ისე, როგორც ეს უწინ ხდებოდა და იქ მეორე ტური დაინიშნა. მეორე ტურმა კი აჩვენა, რომ მმართველმა პარტიამ ყველგან დამაჯერებელი უპირატესობით მოიგო. ეს ცუდია თუ კარგი, რომ ყველგან მათ გაიმარჯვეს, საკითხის მეორე მხარეა, რომელზე დაფიქრებაც ნამდვილად სჭირდება პირველ რიგში საზოგადოებას, ამომრჩეველს და შემდგომ მთავრობასაც. ოპოზიციური ძალა აუცილებელია საქმის წინსვლისთვის, მაგრამ საღად მოაზროვნე, კომპეტენტური მოვალეობის ერთგული და არა ვიწრო პარტუილი ინტერესებით დაბრმავებული, რომელიც ყველაფერს უკუღმა ხედავს და აფასებს. ოპონენტს საფუძვლიანი ოპონირების უნარი უნდა ჰქონდეს, ხოლო მმართველ გუნდს-მოსმენის, გაანალიზების და სწორი გადაწყვეტილების მიღების. ასეთი მთავრობა რომ მივიღოთ, ჩვენ -მოქალაქეები, საზოგადოება უნდა გავხდეთ სამართლიანი და არ ავირჩიოთ ვინმე მეზობლობის, მეგობრობის, ნათესაობის ან წამხედურობის ნიშნით. შევარჩიოთ ადამიანები მათი განათლების, განვლილი გზის, პერსპექტიულობის და უნარის მიხედვით. ამისთვის კი მარტო პარტიული აქტივისტების კანდიდატურებს კი არ უნდა მიეცეს გასაქანი, არამედ დამოუკიდებელ კანდიდატებსაც, რათა ამომრჩეველს არჩევანის გაკეთება გაუადვილდეს.

ასეა თუ ისე, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი რჩეულები უკვე სკამებს მოერგნენ. ახლა კი „ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი”, საქმის დროა, დროა პრაქტიკულად იგრძნოს ხალხმა, რომ წინასაარჩევნო დაპირებები ცარიელი სიტყვები არ იყო. საქმით, ბატონებო, საქმით დაამტკიცეთ თქვენი ზრუნვა მოსახლეობის მიმართ, გისურვებთ წარმატებებს!

ნაირა გორაშვილი

რატომ გათავისუფლდა მეორე ბაგა-ბაღის დირექტორი?!

დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაგა-ბაღს ახალი დირექტორი ჰყავს. ის ამ ბაღის პედაგოგი მაია გაგნიაშვილი გახლავთ. მაია გაგნიაშვილი დაიბადა 1972 წლის 14 აპრილს საგარეჯოს რაიონში, იქვე დაამთავრა მე-3 საშუალო სკოლა. 1989 წელს სწავლა განაგრძო თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე რუსული ენა-ლიტერატურის სპეციალობით. იმავე წლებში შექმნა ოჯახი და მისი მუდმივი საცხოვრებელი დედოფლისწყაროს რაიონი გახდა. უკვე ოთხი წელია, რაც ქალბატონი მაია N 2 ბაგა- ბაღში ჯერ საღამოს პედაგოგად, ხოლო შემდეგ აღმზრდელ პედაგოგად მუშაობს. ჰყავს მეუღლე რამაზ ოზბეთელაშვილი, რომელიც თავის მხრივ სასაზღვრო პოლიციის N4 სამმართველოს მობილური ჯგუფის ხელმძღვანელია და სამი შვილი - 20 წლის ლევანი, 14 წლის ნინო და 7 წლის ნიკა ჰყავს. — „ჩემთვის ეს სამსახური მოულოდნელი შემოთავაზებაა, არ ველოდი, გულწრფელად გითხრათ, ბავშვებთან მუშაობა მერჩივნა, მიმაჩნია, რომ ჩემი შესაძლებლობები მათთან მუშაობის კუთხით არ ამომიწურია, მაგრამ რაკი ჩათვალეს, რომ აქ ვჭირდები ჩემს სამსახურს, ყველანაირად შევეცდები, თავს არ დავზოგავ და გავაკეთებ მაქსიმუმს იმისთვის, რომ გავამართლო იმედები,“-აცხადებს ახლადდანიშნული ბაღის დირექტორი მაია გაგნიაშვილი.

რატომ გათავისუფლდა მეორე ბაგა-ბაღის დირექტორი?!

მაია გაგნიაშვილი აღსაზრდელებთან ერთად

წინა კვირას რაიონში ახალი ამბავი გავრცელდა: დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღის დირეტორი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდათ. საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები - რატომ?! რა მიზეზით?! იმისთვის, რომ მოსახლეობაში ვრცელდებოდა სხვადასხვა ვერსია, ჩვენ შევეცადეთ, ზუსტი ინფორმაცია მიგვეღო აღნიშნულის ირგვლივ.

რამდენდაც ჩვენთვის ცნობილი გახდა ამ ბაღის ყოველი ხელმძღვანელი ქეთევან ჩალახეშაშვილი ბაღში მომხდარი ინციდენტის გამო, კერძოდ, ბაღის კანალიზაციის გასკდომასთან დაკავშირებით მომხდარი ინციდენტის გამო გათავისუფლდა. უფრო ზუსტად, როგორც გამგეობის ინფრასტრუქტურული სამსახურის მიერ ამ საქმის შესწავლიდან გამოვლენილი დასკვნიდან დადასტურდა, ბაღის საკანალიზაციო მილზე დირექტორის ოჯახის საკუთრებაში მყოფი ყველმრეწვის კანალიზაცია უნებართვოდ ყოფილა მიერთებული, რაც კანონით დაუშვებელი გახლავთ.

თავის მხრივ ქეთევან ჩალახეშაშვილი ამბობს, რომ მისი ოჯახის ყველმრეწვის კანალიზაცია არ ყოფილა ბაღის კანალიზაციაზე მიერთებული და თვლის, რომ მას არანაირი დანაშაული არ მიუძღვის. მიუხედავად ამისა, როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი „შირაქთან“ აცხადებს, ჩალახეშაშვილი სამსახურიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა. ყოჩიაშვილი იმასაც ადასტურებს, რომ ზემოხსენებული ვერსია კანალიზაციებთან დაკავშირებით სინამდვილეს შეესაბამება. უფრო მეტიც, აღნიშნული ინციდენტის გამო საშინლად დაბინძურდა ბაღის სარდაფი, რის გამოც ამ ბოლო დროს ბაღის ბავშვებში სხვადასხვა დაავადებებმა იჩინა თავი. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ამ ბაღის ბავშვებში წითელას და ჩუტყვავილას ეპიდემიამ იმატა. მიზეზი კი, კანალიზაციის გასკდომა და სარდაფის დაბინძურება გახლდათ. როგორც ბაღში მომუშავე პერსონალი „შირაქთან“ საუბარში აცხადებს, იმ დღეებში ბაღში უცნაური “ტარაკანა” გაჩნდა, რომლის გაჩენის მიზეზს კარგა ხანს ვერ ადგენდნენ, შემდეგ კი გაირკვა, რომ ამის მიზეზი კანალიზაციის სარდაფში ჩაღვრა აღმოჩნდა, რამაც სარდაფის და მთლიანი შენობის დაბინძურება გამოიწვია. აღნიშნულის გამო მშობლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ და მიიჩნევენ, რომ ინციდენტმა შენობას და იქ მყოფ აღსაზრდელებსა თუ პერსონალს ანტისანიტარიული საფრთხე შეუქმნა. როგორც ორგანიზაციის პერსონალი ბაღში წყლის გადასახადი 20-25 ლარით მეტი მოდიოდა, ვიდრე მანამდე და გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ყოფილი დირექტორის ოჯახს წყლის მრიცხველიც ბაღის მრიცხველზე ჰქონდა მიერთებული.

ჩალახეშაშვილის სამსახურიდან გათავისუფლებიდან რამდენიმე დღეში, №2 საბავშვო ბაღში დირექტორად, ამავე ბაღის წარმატებული პედაგოგი მაია გაგნიაშვილი დანიშნეს.

ლალი მეხრიშვილი

და როცა გული მღერის

ცნობილი კომპოზიტორი და მომღერალი, საკუთარი ნაწარმოებების ბრწყინვალე შემსრულებელი ინოლა გურგულია მღეროდა:

„ჰირველად იყო სიმღერა,
სიმღერა მრავალხმიანი,
და სიმღერისთვის შეიქმნა
სიგარულისთვის შექმნა
ადამიანი!“

სავსებით სამართლიანია ფრაზა: „შრომამ შექმნა ადამიანი“ და ისიც ბუნებრივია, შრომის პროცესში შეიქმნა სიმღერა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შრომა და სიმღერა განუყოფელია. ოდითგანვე ქართველი კაცი ჭირსა თუ ლხინი, შრომის პროცესში მღეროდა, გულს არაფრით იტეხდა, ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მაშ, რით უნდა აიხსნას შრომის პროცესის ამსახველი სიმღერები: „კალოსპირული“, „ცელო, „მოუსვი ბალახსა“, „გლესავ და გლესავ, ნამგალო“, „ურმული“ და სხვა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ორიოდე სიტყვით ვთქვა „ოროველას“ შესახებ. ეს ნაწარმოები შწექმნილია რაფიელ ერისთავის ლექსზე. ამ ლექსს მთლიანად არ წარმოგიდგენთ, მაგარმ ერთს კი ვიტყვი: პოეტს გულმხურვალედ უყვარდა გლეხკაცი, აფასებდა მის შრომისმოყვარეობას, სიალალეს, იცნობდა ტრადიციულ მიწათმოქმედებას, სახნავ-სათეს იარაღებს და მისი გამოყენების ხერხებს და შედგენილობას. იგი გლეხკაცში ხედავდა ჭეშმარიტ მეურნეს, რომელსაც საფიცრად ჰქონდა გამხდარი მშობლიური ქართული მიწა, ხარ-კამეჩი და უღელი, შრომით გამოწვეული სიხარული და სიმღერა.

ეს ლექსი იმდენად პოპულარულია, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ხალხური ჰგონია. ამ ლექსის ცოტაოდენი პერიფრაზირებაა მოცემული „ხალხურ საუჯეში“.

„შენი ჯირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ეელისა,
შენა ხარ ჰურის მომეკანი,
დამმველებელი ქერისა“.

რადგან ფოლკლორი (ფოლკ-გერმანული სიტყვაა და ნიშნავს ხალხს) ხალხური შემოქმედებაა, ამიტომ ხალხი დიდი სისათუთით უფრთხილდებოდა და თაობიდან თაობას გადასცემდა თვითმყოფადი ქართული კულტურის ნიმუშებს.

მაგონდება 1957 წელი, ახალბედა სტუდენტს სახლში მეწვია საქართველოს რადიოს ხალხური შემოქმედების გადაცემის მთავარი რედაქტორი, ჩვენი რაიონის მკვიდრი, ქალბატონი ლამარა კიკილაშვილი, რომელიც ამზადებდა რეპორტაჟს ჩვენი რაიონის სინამდვილიდან რუბრიკით „შრომა და სიმღერა“. ჩაწერა წარიმართა სოფელ ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში. გადაცემა მიმდინარეობდა ჩემს მიერ ნამღერი „ოროველას“ ფონზე. ეს გადაცემა რამდენჯერმე იყო რადითი ტრანსლირებული. ამის შემდეგ ეს სიმღერა ჩემთვის უსაყვარლესია.

სიმღერა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ვმღეროდი სკოლაში (ვიყავი მოსწავლეთა სიმღერის გუნდის ხელმძღვანელი) ვმღეროდი უნივერსიტეტში, ანსამბლებში, „შვიდკაცაში“, სოფლის მომღერალთა გუნდში და სხვა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ყურადღება ფოლკლორული მასალებისადმი, რასაც ადრე იჩენდა მთვრობა. მახსენდება ძველი „შვიდკაცა“ იროდი ტაკარაძის ხელმძღვანელობით, რომლის წევრებიც იყვნენ: კარლო გოგაშვილი, ხვთისო დავითაშვილი, კაენი ბაცაცაშვილი, შალვა მენთეშაშვილი, ოთარ სისაური და ვასიკო ტუხაშვილი.

ძირითადად სოლისტები კარლო, ხვთისო და მე ვიყავით. ვმღეროდით: „კალოსპირულს“,, „ცელო, მოუსვი ბალახსა“, „გლესავ და გლესავ, ნამგალო“, „თამარ ქალი რა ქალია“ და სხვა ფოლკლორულ მარგალიტებს. რაიონულ თუ რესპუბლიკურ სცენებს ამშვენებენ და სიმღერებით ატკბობენ მაყურებლებს და-ძმა კესო და კარლო გოგაშვილები.

1961 წელს დიდი მზადება იყო გაჩაღებული ხალხური შემოქმედების მეცხრე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის, შექმნილი იყო სპეციალური რესპუბლიკური კომისია, რომელიც არჩევდა ოლიმპიადაზე გასატან ნომრებს. ინდივიდუალურ შემსრულებლად მე და ნათელა მაისაურაძის დუეტი აირჩიეს. „გავარვარებული“ ხრუშჩოვის ხანაა, როცა მთავრობამ ხალხი კომბინირებულ საკვებზე დაიყვანა და ხრუშჩოვის საფიცარი სიმინდი გახდა. გადავწყვიტე ტექსტი „მინდვრების დედოფალზე“ შემედგინა და მუსიკა შეგვერჩია და გვემღერა. ოლიმპიადა ჩატარდა ოპერის თეატრში, ჩვენმა ნამღერმა და, ალბათ, ტექსტის თანადროულობამ განსაზღვრა დიდი წარმატება. მე, ნათელაც და კულტსახლიც დიპლომებით დაგვაჯილდოვეს, ხოლო კულტურის სამინისტრომ-საპატიო სიგელები გადმოგვცა.

შემდეგ „შვიდკაცა“ აგრძელებდა მუშაობას შესანიშნავი მომღერლის შალვა მენთეშაშვილის ხელმძღვანელობით. ბატონი შალვა საქრთველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში იყო ნამღერი და რეპერტუარი გააახლა, სულ სხვაგვარი შნო და იერი მისცა.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება ხალხური სემოქმედების საკითხებს. მისასალმებელია რესპუბლიკური ღონიძიებების დროს უცხოური რეპერტუარით შესრულებული სიმღერები, მაგრამ ისიც გათვალისწინების ღირსია, რომ მთავარი, მშობლიური, თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა და არდავიწყებაა.

როგორც იტყვიან, ყინული ადგილიდან დაიძრა. ამ დღეებში ჩვენს რაიონს ესტუმრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის ფოლკლორისტული ექპედიცია ქალბატონების: ნატო ზუმბაძისა და ქეთევან მათიაშვილის ხელმძღვანელობით. ისინი გაეცნენ ჩვენი რაიონის მხატვრული თვითშემოქმედების ნიმუშებს, გააკეთეს ჩანაწერები და დასკვნების გასაკეთებლად შესაბამის კათედრაზე წაიღეს. ჩაწერის დროს შევხვდი ანსამბლ „ხორნაბუჯის“ წევრებს, მოვისმინე მათ მიერ შესრულებული ნომრები, შევასრულე სიმღერები ანსამბლის ახალგაზრდა ნიჭიერ ლოტბარ გიორგი ცერცვაძესთან ერთად და გამიჩნდა იმედი, რომ ამ ანსამბლს შეუძლია დიდი მიღწევები ჰქონდეს.

გაზეთ „შირაქის“ №23 (9.637) ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით „ანსამბლი „ხორნაბუჯი“ 33 წლისაა“ ვუსურვებ ამ თარიღს ანსამბლის წევრებს და მის ხელმძღვანელს გიორგი ცერცვაძეს, ვუსურვებთ მათ დიდ შემოქმედებით სიხარულს.

ეგული ყოჩიაშვილი
დამსახურებული მასწავლებელი.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა

ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, სტუდენტებს პირველადი შედეგების გაგება 20 ივლისიდან შეეძლებათ, გამოცდების საბოლოო შედეგები კი 25 აგვისტოსთვის გახდება ცნობილი.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის განცხადებით, საგამოცდო პროცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. მისივე თქმით, იყო რამდენიმე სიახლე, რომლებიც წარმატებით განხორციელდა.

„ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი გველის წინ, ვგულისხმობ ნამუშევრების გასწორებას და შედეგების გამოცხადებას. საბლოო ჯამში, სადღაც აგვისტოს 25—სთვის საბოლოოდ დამთავრდება ეს პროცესი, ვგულისხმობ გრანტის განაწილებას აბიტურიენტებისთვის და ჩარიცხვების პროცესს“, — განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

ცენტრის ინფორმაციით, 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დაახლოებით 36 000 —მდე აბიტურიენტი, 20 000—მდე პედაგოგი და მასწავლებლობის მსურველი, 12—მდე მაგისტრანტი და 4 500—ზე მეტი გრანტის გაუმჯობესების მსურველი სტუდენტი დარეგისტრირდა.

ეორვნული გამოცდებისთვის, საქართველოს მასშტაბით 19 საგამოცდო ცენტრი იყო გახსნილი.

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

მთავარ პროკურატურაში ეროსი კიწმარიშვილის საქმესთან დაკავშირებით კომენტარი გაკეთდა. პროკურორ კოკა კაციტაძის თქმით, არ არის გამორიცხული, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საქმეს მომავალში კვალიფიკაცია შეეცვალოს. საქმე აღძრულია თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. პროკურატურის ცნობით, ეროსი კიწმარიშვილის გვამი 15 ივლისს მისი საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხში მდგომ მანქანაში აღმოაჩინეს. პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფებოდნენ მისი თანაპარტიელები, იმ მაღაზიის თანამშრომლები, რომელშიც,

მედიის ინფორმაციით, ეროსი კიწმარიშვილმა ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინა. ეროსი კიწმარიშვილის ძმის, ზურაბ კიწმარიშვილის ცნობით, ოჯახი მომხდართან დაკავშირებით განცხადებას მოგვიანებით გააკეთებს.

პროკურორ კოკა კაციტაძის განცხადებით, ამ დრომდე საქმეზე აქტიური საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს და ექსპერტიზის პროცესში ჩართული იქნება დამოუკიდებელი ექსპერტიც:

„ამ დროისათვის ხდება სხვადასხვა საგამოძიებო ვერსიების შემოწმება და წინასწარ რაიმე დასკვნების გაკეთება, რომ სახე ზე გვაქვს თვითმკვლელობა, მკვლელობა ან უბედური შემთხვევა, არის ნაადრევი. საგამოძიებო ჯგუფი ძალიან აქტიურად მუშაობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ წუთებში ხდება ამოღებული ვიდეომასალის გაშიფვრა საგამოძიებო ორგანოში და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებს, თვითონ ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის წევრების მოთხოვნით, დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლაიშვილი“.

გარდაცვლილი ეროსი კიწმარიშვილის ოჯახმა დღის ბოლოს გაავრცელა განცხადება, სადაც ვკითხულობთ:

„ოჯახი შეძრწუნებულია მომხდარით. ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და თავზარდამცემია ეს ტრაგედია. ძალიან გვიჭირს მომხდარს რაიმე ახსნა მოვუძებნოთ. ეროსი მუდამ ენერგიული და აქტიური ხასიათით გამოირჩეოდა და სულ ბოლო პერიოდში არაერთ განსახორციელებელ პროექტზე ფიქრობდა. აქედან გამომდინარე, ოჯახი არ ეთანხმება თვითმკვლელობის ვერსიას და ელოდება გამოძიების დამთავრებას“.

ეროსი კიწმარიშვილის ცხედარი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან სახლში 16 ივლისის დილით გადაასვენეს. ექსპერტიზას, კიწმარიშვილის ადვოკატის თხოვნით, დამოუკიდებელი ექსპერტიც ესწრებოდა. მაია ნიკოლაიშვილის თქმით, ექსპერტიზის შედეგად მხოლოდ იმის თქმაა შესაძლებელი, რომ გასროლა განხორციელდა იარაღის მიბჯენით:

„ვერც მე და ვერც ერთი სამედიცინო ექსპერტი ვერ გეტყვით, მკვლელობაა თუ თვითმკვლელობა. ეს არის გამოძიების პროგრამა, მაგრამ ის, რაც ნანახია, სხვა მონაცემებთან ერთად, რა თქმა უნდა, - უნდა შეჯერდეს შემთხვევის ადგილი და ეს ყველაფერი ერთმანეთთან, - ფაქტია, რომ ადგილი აქვს მიბჯენით სროლას. აღბეჭდილია ტიპიური შანც მარკა, ანუ ლულის ანაბეჭდი, და ძალიან მძლავრი იარაღი, გამომდინარე იქიდან, რომ ქალას ძვლების საკმაოდ ძლიერი დაზიანებებია“.

მთავარი პროკურატურის მიერ15 ივლისს გავრცელებული განცხადების მიხედვით, საქმე აღძრულია თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. სწორედ ამ მუხლით საქმის აღძვრის გამო აკრიტიკებენ საგამოძიებო ორგანოებს ხელისუფლების ოპონენტები. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორკი კანდელაკი ეჭვის თვალით უყურებს იარაღის შეძენის ფაქტსაც:

„თუკი ბატონ კიწმარიშვილს ***სურდა თვითმკვლელობა, მაშინ გაუგებარია, რატომ გაივლიდა ის ხანგრძლივ პროცედურებს, რათა დაერეგისტრირებინა აღნიშნული იარაღი? მას ბოლო დროს აქვს მიცემული რამდენიმე მნიშვნელოვანი ინტერვიუ „რუსთავი 2“-ის შესახებ და ამ ინტერვიუებიდან გამომდინარეობს, რომ დღევანდელი მთავრობა აპირებს აგრესიულად ჩაიგდოს ხელში „რუსთავი 2“. ჩვენ, ამავე დროს, ისიც გვახსოვს, რომ 90-იანი წლების რუსეთში — მე არავის თითს არ ვადებ, მაგრამ იმ რუსეთში, სადაც დააგროვა ქონება ბატონმა ივანიშვილმა, დღევანდელმა უფლებამოსილებას გაქცეულმა ოლიგარქმა — შეკვეთილი მკვლელობები იყო ყოველდღიურობის ნაწილი“.***

ხელისუფლების ოპონენტებისთვის გაუგებარია აგრეთვე, რატომ უნდა შეეძინა ეროსი კიწმარიშვილს იარაღი იმავე დღეს, როცა ფაქტი მოხდა. ამასთან დაკავშირებით, ეროსი კიწმარიშვილის მეგობარმა ბადრი ნანეტაშვილმა, რომელმაც პირველად დააადასტურა, რომ კიწმარიშვილმა მართლაც შეიძინა იარაღი CZ 75 ძმისთვის საჩუქრად, 16 ივლისს საკუთარი ფეისბუკის გვერდზე დაწერა: ეროსი თავიდან ძმისთვის საკუთარი იარაღის ჩუქებას აპირებდა, მაგრამ, გაფორმების სირთულეების გამო, ახლის შეძენა გადაწყვიტაო. ანუ კიწმარიშვილს იარაღი მანამდეც ჰქონდა.

საქმის ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ყველანაირი - მათ შორის პოლიტიკური - სპეკულაციებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს საზოგადოებას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი:

„არაფერი არ არის უფრო დიდი უბედურება, ვიდრე ის, რომ ადამიანი საკუთარ სიცოცხლეს სპობს. გამოძიება მიმდინარეობს. პირველადი ნიშნები გვიჩვენებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს იმასთან, რაც თქვა ექსპერტიზამ, რომ არის მიბჯენით ნასროლი და რომ დაზიანებულია სერიოზულად თავის ქალა. ეს არის ფაქტი, რომელიც არის დადგენილი. ამის კვალიფიკაციას და სხვა ფაქტებს დაადგენს საგამოძიებო ორგანო და შეიძლება კვალიფიკაცია შეიცვალოს და შეიძლება არა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველამ თავი შეიკავოს სპეკულაციებისგან. სამართლებრივი კვალიფიკაცია არავისი საქმე არ არის. ეს არის ერთადერთი პროკურატურის უფლებამოსილება და დავაცადოთ პროკურატურას“.

გამოძიებას უკვე აქვს ის ვიდეოკამერები, რომელიც მომხდარის ადგილიდან არის ამოღებული. საგამოძიებო ორგანოში დაიკითხა პარტია „ჩვენი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, გია ხევიაშვილიც, რომელიც ფაქტის პირველი თვითმხილველია - მან გამოიძახა სასწრაფოც და პოლიციაც. გია ხევიაშვილი მედიასთან საუბარში დეტალებზე არ ლაპარაკობს და ამბობს, რომ გამოძიებას მიაწოდა ყველა ინფორმაცია, რაც კი მოეპოვებოდა.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ეროსი კიწმარიშვილის ოჯახს მისი გარდაცვალება მიუსამძიმრა და მომხდარს „საზარელი მკვლელობა“ უწოდა:

„მე მინდა ბატონი ეროსის ოჯახს, მის ახლობლებს მივუსამძიმრო ეს ტრაგიკული ფაქტი. აუცილებლად უსწრაფესად უნდა მოხდეს გამოძიება. ბუნებრივია, ამ საზარელ მკვლელობას პასუხი უნდა გაეცეს და, პირველ რიგში, მე ვიზიარებ ოჯახის მწუხარებას ამ ფაქტან დაკავშირებით“.

პრეზიდენტის გამონათქვამი ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ კრიტიკულად შეაფასა:

„ჩემთვის პირადად გაუგებარია გიორგის ეს განცხადება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მიმდინარეობს გამოძიება და დადგინდება, ეს იყო მკვლელობა თუ თვითმკვლელობა. ამიტომ დაველოდოთ გამოძიებას და ამის მერე შესაძლებელი იქნება კომენტარის გაკეთება“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა გარდაცვლილ ეროსი კიწმარიშვილის ოჯახს მიუსამძიმრა. პარლამენტის თავმჯდომარე ვაკეში, ეროსი კიწმარიშვილის სახლში იმყოფებოდა, სადაც გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს სამძიმარი გამუცხადა. მოგვიანებით დავით უსუფაშვილმა მედიასთან კომენტარი გააკეთა.

“საშინელი ამბავი მოხდა და ვუსამძიმრებ ყველას. ეროსი ძალიან ბევრი ადამიანისთვის იყო ახლობელი ადამიანი. მეც მათ რიცხვში ვთვლი საკუთარ თავს, რადგან დაახლოებით 20 წლის წინ შევხვდით ერთმანეთს და მას შემდეგ ძალიან აქტიური ცხოვრების წესით ცხოვრობდა. საშინელი ამბავია. ყველას ვუსამძიმრებ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ოჯახს”, - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, გამოძიება რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად უნდა ჩატარდეს. “რაც შეეხება იმას, თუ რა მოხდა და რატომ მოხდა, ამაზე რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაეცეს პასუხი. დღეისთვის ნათელი მხოლოდ ის არის, რომ ეს არ იყო ბუნებრივი სიკვდილი. ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ვინ და რატომ გამოკრა სასხლეტს ხელი, ეს უნდა დაადგინოს გამოძიებამ რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება დამაჯერებლად და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება”, - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ამასთან, მედიის წარმომადგენლებმა პარლამენტის თავმჯდომარეს დღეს გავრცელებულ ეროსი კიწმარიშვილის მემუარებთან დაკავშირებითაც დაუსვეს კითხვა. როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, ეროსი კიწმარიშვილი ძალიან აქტიური შემოქმედი ადამიანი იყო, ამიტომ მისი ნებისმიერი დანატოვარი ყველასთვის საინტერესოა.

“ძალიან ბევრი რამის თანამონაწილე ვიყავით ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსთავში მოღვაწეობდა. ჩვენ, “ახალგაზრდა იურისტები” მაშინ ახალფეხადგმულ თავისუფალ მედიას ვცდილობდით, რომ გვერდში დავდგომოდით. მახსოვს, 1994 თუ 1995 წელს მოგვაკითხა დახმარებისთვის და ადვოკატი ლია მუხაშავრია ვურჩიეთ ერთ-ერთ პირველ სასამართლო პროცესზე. მას შემდეგ ეროსი სულ ფრონტის წინა ხაზზე იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი რამ მემუარებშიც ექნება, ბევრი რამის მომსწრე იყო, შემოქმედი იყო, ამიტომ ყველასთვის საინტერესოა მისი მემუარები თუ გახსენება, რადგან ის ჩვენი თანამედროვეობის ორგანული ნაწილი იყო. ხშირად ბევრს მისი არ ესმოდა, თუ არ გვესმოდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ეროსი კიწმარიშვილი იყო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი 10 წლის განმავლობაში. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ მან ტელეკომპანია დატოვა და სავაჭრო სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი გახდა. შემდეგ საცხოვრებლად შეერთებულ შტატებში გადავიდა. 2007 წელს დაბრუნდა საქართველოში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მრჩევლად. ამავე წელს იყო მიხელ სააკაშვილის საარჩევნო კამპანის სტრატეგიის ჯგუფის ხელმძღვანელი. 2008 წლის თებერვალში დაინიშნა საქართველოს ელჩად რუსეთის ფედერაციაში. 2010 წელს დაარფუძნა ხელისუფლების ოპოზიციური „ქართული პარტია“ და ამავე წლებში იყო ტელეკომპანია „მაესტროს“ მართვის კომპანიის ხელმძღვანელი. ეროსი კიწმარიშვილი 15 ივლისს საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხში მდგომ საკუთარ ავტომანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

მონატრება

ლალი პოპიაშვილი

ჩემო ლალი, 3 წელზე მეტი გავიდა, რაც შენ დატოვე შენი ავადმყოფობით გატანჯული წუთისოფელი და გადაინაცვლე მარადიულ სასუფეველში. ჩემო საყვარელო, საოცნებო, დედის სანატრელო, გავიდა წლები, რაც ჩემგან წახვედი, მაგრამ მე ისევ და ისევ გელოდები. მენატრები, მაკლიხარ, საოცრად მაკლიხარ. მახსენდება შენი ხალისიანი სიცილი, იმედიანი საუბარი, შენთან გატარებული 44 წელი ერთ წამში გაქრა. არ მინდა დავიჯერო ჩვენი განშორება. მე ისევ და ისევ გელოდები. და ეს მოლოდინი მტანჯავს. ძალიან მინდა, მოგეფერო. შენდამი სიყვარული უზომოდ ძლიერია და გულში ტკივილს იწვევს.

შვილო ლალი, ვეფერები შენს ლამაზ სურათებს, ქვაზე გაყინულ მზერას და გილოცავ დაბადებიდან 47 წლისთავს. ვერავითარი დრო ვერ წაშლის შენს ხსენებას. არ მოაკლდება შენს სასუფეველს ყვავილები, ჩემგან სიყვარული და სანთელ-საკმეველი. სანამ სული მიდგას და ცოცხალი მქვია, ჩემს გულში შენი უკვდავებაა ჩანერგილი და მას ვერავინ წაშლის. ეს არის ლალი.

„დედის თვალები ზეცას გაჰყურებს,
იცის, არ მოხვალ და გელოდება,
შეხედავს სურათს და შენა გნატრობს,
რა ქნას სიზმარშიც შენ გელოდება.“

ღმერთო, შენ შეისმინე დედის ვედრება, ჩემს შვილს მიეცი პატარა ადგილი იქ, სადაც განისვენებენ მართალნი ამა ქვეყნისანი. კიდევ და კიდევ გილოცავ ჩემთვის მწარე და შენთვის საყვარელ დაბადების დღეს - 17 ივლისი. გჯეროდეს, ეს დღე ცრემლისაა ჩემთვის.

შვილო ლალი, ნეტავი ის დღე დგებოდეს, შენ ჩემს გულში ჯდებოდე, ან ბუნებაში სასწაული ხდებოდეს და მე და შენ ნატვრა აგვიხდებოდეს, მაგრამ ვაი რომ ეს ყველაფერი ჩემი ფანტაზიაა.

მწარე ტკივილით,
შენი უგულო დედა.
სოფელი გამარჯვება.

ელიკო არაბული და ციალა თეთრაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ თემო და მაყვალა გონაშვილების ოჯახს

ზიგფრიდ გონაშვილის

გარდაცვალების გამო

მეზობლები:ზაირა ალუღიშვილი, სეილან ლაპიაშვილი, იაგო ყოჩიაშვილი, იზო პოპიაშვილი, ნუგზარ პოპიაშვილი, ლამარა ბაიაშვილი, ომარ ყაჭაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დათო და თემურ გონაშვილებს ძმის

ზიგფრიდ (თამაზ) გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მარინა ინასარიძეს მამის

ვლადიმერ ინასარიძის

გარდაცვალების გამო.

ნინო ნატროშვილი, ზურა და რეზო გურაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ თემო, მაყვალა, დათო, მაია, მარინე, ზურა, ქეთინო, ნიკა და გიგლა გონაშვილებს ძმის, მამის, მეუღლის და ბიძის

ზიგფრიდ გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, დაცვის სადგურის სარემონტო აღდგენითი სამუშაოები და საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს.

როგორც ნაკრძალის ხელმძღვანელობამ ქიზიყი.გე-ს განუცხადა, საგანმანათლებლო ცენტრის გახსნა მნიშვნელოვანია, რადგან ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიის პოპულარიზაციას და მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას. სწორედ ამიტომ, პროცესში ადმინისტრაციის თანამშრომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი.

ვაშლოვანში მიმდინარე პროექტებს დონორობას „ქართუ ჯგუფიც“ უწევს

სასამართლომ „ქოჩების ტბის“ საქმეზე შპს „ხიდის“ დირექტორი დაკითხა

თელავის სასამართლომ 9 ივნისის სხდომაზე შპს „ხიდის“ დირექტორი ზაქარია ტატუნაშვილი დედოფლისწყაროში მდებარე „ქოჩების ტბის“ საქმეზე დაკითხა. ის ბრალდების მხარის ბოლო მოწმე იყო, რითიც კახეთის გუბერნატორის ყოფილი პირველი მოადგილის გიორგი სიბაშვილის საქმეზე მოწმეების დაკითხვა დასრულდა.

ბრალდებული სიბაშვილი მიიჩნევს, რომ მის საქმეზე დაკითხულმა ვერცერთმა მოწმემ, მათ შორის ტატუნაშვილმა, მისთვის წარდგენილი ბრალის შესახებ ინფორმაცია ვერ დაადასტურა. ამჯერად, პროკურატურას კომენტარი არ გაუკეთებია.

ცნობილია, რომ პროკურატურამ კახეთის გუბერნატორის ყოფილი პირველი მოადგილე სისხლის სამართლის პასუხისგებაში გასული წლის იანვარში მისცა. სიბაშვილს ბრალად უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისება და გაფლანგვა ედება. მას ბრალი 5 ეპიზოდით აქვს წარდგენილი, მათ შორის „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაციის საქმეზეც. ბრალდება 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მასთან ერთად ბრალდებულია კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს დირექტორი ვალერი გრემელაშვილიც. მას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში და ჯგუფურად, დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვაში ადანაშაულებენ.

გამოძიების მტკიცებით, სიბაშვილის დავალებით, დედოფლისწყაროში არსებული ქოჩების ტბის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით ვალერი გრემელაშვილმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ხიდთან“. სამუშაოების საერთო ღირებულებად განისაზღვრა 800 000 ლარი. ამ თანხიდან ავანსის სახით, შპს-ს გადაერიცხა 300 000 ლარი, საიდანაც დიდი ოდენობით თანხა დირექტორმა ზაქარია ტატუნაშვილმა უკანონოდ მიითვისა. ასევე სიბაშვილმა და გრემელაშვილმა ქოჩების ტბის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუსრულებლობის ხარჯზე გაფლანგეს „კახეთის რეგიონული სააგენტოს“ კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა.

ილია მარტყოფლიშვილი

ნარკოტიკების ტრანზიტი და საქართველო

დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების ამოღების გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრემიერ-მინისტრის მაღალი შეფასება დაიმსახურა. საერთაშორისო ნარკოდანაშაულის გამომჟღავნება ქვეყნის იმიჯის განმტკიცების ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება. როგორია ნარკოტიკების გადაადგილების საქართველოზე გამავალი მარშრუტი, რამ შეიძლება გააუარესოს ვითარება და რა როლს თამაშობს ოკუპირებული ტერიტორიები?

სამ ტონამდე თხევადი ჰეროინი სამართალდამცველებმა საქართველოში სატვირთო ავტომობილის ჩხრეკისას აღმოაჩინეს. ნარკოტიკული ნივთიერება, რაც 80% სუფთა ჰეროინს შეიცავს, 30-კილოგრამიან პლასტმასის ბიდონებში სარეცხი საშუალების იარლიყით იყო დაფასოებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ "სატვირთო ავტომობილი საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოვიდა და თურქეთის მიმართულებით მოძრაობდა". ამ ფაქტის გამო დაკავებულია საქართველოს ორი მოქალაქე.

საერთაშორისო ნარკოტრანზიტის ფაქტის გამოვლენა, ანუ ახალი რეკორდის დამყარება, პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა მთელ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს 14 ივლისს მთავრობის სხდომაზე მიულოცა:

"მართლაც დასაფასებელია ის მუშაობა, რომელსაც თქვენი უწყება ახორციელებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური ნება არსებობს, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა იყოს მართლაც უკომპრომისო. გასულ წლებში ჩვენ არასოდეს არ გვინახავს არათუ მსგავსი, არამედ მიახლოებულიც ოდენობის ნარკოტიკების ამოღების ფაქტი. ჩვენ გასულ წელს ამოვიღეთ 116 კილო, რაც იყო რეკორდული. ახლა უკვე ლექსომ (ალექსანდრე ჭიკაიძემ) მოხსნა ეს რეკორდი".

მასშტაბური საერთაშორისო ნარკოდანაშაულის გამომჟღავნებას, ირაკლი ღარიბაშვილის მსგავსად, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის განმტკიცების წინაპირობად განიხილავენ ექსპერტებიც. საქმე ის არის, რომ ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის სტრატეგიის შესახებ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში საქართველო უკვე წლებია მოხსენიებულია როგორც "სატრანზიტო", ასევე "დანიშნულების" ქვეყნად. ამავე წყაროს ცნობით, ნარკოტრანზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი მარშრუტი ავღანეთიდან და ირანიდან მოდის და, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, დასავლეთ ევროპისკენ მიემართება. ვითარების შედარებითი გაუმჯობესება აღინიშნება 2014 წლის ანგარიშის თანახმად და ეს საზღვრებზე კონტროლის შედარებით გამკაცრებას მიეწერება. ამ კონტექსტში დიდ მიღწევად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ 2013 წლის ივლისში საქართველოში პოლიციამ 116 კილოგრამი ჰეროინი აღმოაჩინა.

საერთაშორისო ნარკოტრანზიტის ჭრილში საქართველოს არცთუ სახარბიელო იმიჯს, წინა წლების ტენდენციის - სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის - კვალდაკვალ, სავაჭრო ტვირთბრუნვის გაზრდას უკავშირებს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიციის გენერალ-მაიორი ჯემალ ჯანაშია. როგორც ის აცხადებს,ზოგადად ტვირთბრუნვის გაზრდა დადებითი მოვლენაა, მაგრამ ამ პროცესს კონტროლის გაზრდაც უნდა ახლდეს თან. ექსპერტის აზრით, ვითარება დამძიმდება იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისი კონტროლის გარეშე განხორციელდება საქართველოს მთავრობის ახალი ინიციატივა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს ერგნეთის ბაზრობის ტიპის მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრები ამოქმედდეს. უკანონო პროცესებში შესაძლოა ასეთ შემთხვევაში რუსეთიც ჩაერთოს:

"ამ შემთხვევაში ამუშავდება ჩრდილოეთის ვექტორი. სომხეთის ვექტორმა იმუშავა გასულ წელს, შემდეგ იმუშავა აზერბაიჯანის ვექტორმა... ჩრდილოეთის ვექტორი რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი. ერთ-ერთია ვლადიკავკაზი-ყაზბეგის მიმართულება. თუმცა უფრო კარგად იმუშავებს როკის გვირაბი-ცხინვალის ტერიტორია და შემდეგ უკვე თბილისისკენ და დასავლეთისკენ... ამიტომ ამ ვექტორზე ოპერატიული სამსახურების გაძლიერებაა საჭირო".

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ბოლოს აღმოჩენილი 3 ტონამდე ნარკოტიკული ნივთიერებიდან საქართველოს შიდა ბაზრისთვის არაფერი იქნებოდა გამიზნული, რადგანაც, საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ასეთი დიდი მოცულობის ტვირთი, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხელუხლებლად ჩადის დანიშნულების ადგილამდე. ამასთან, ექსპერტების შეფასებით, ჰეროინზე, ძირითადად სიძვირის გამო, უკვე წლებია, მოთხოვნა ქართულ ბაზარზე ძალიან მცირეა.

ულოცავენ!

ნათია ნატროშვილს და რეზიგონაშვილს!

ჩვენო საყვარელო შვილებო, ჩვენო რეზი და ნათი! გილოცავთ ცხოვრების შემდეგ საფეხურზე ასვლას - დაქორწინებას... მუდამ სიხარულით, ბედნიერებით და დიდი სიყვარულით ყოფილიყოს თქვენი გულები აღსავსე. ჩვენ გვჯერა თქვენი, რომ ყველასათვის სამაგალითო ოჯახს შექმნით. გისურვებთ ჯამრთელობას და გამრავლებას.

უფალს ვთხოვთ, რომ ყველა თქვენი ოცნება ახდენილიყოს.

ძალიან გვიყვარხართ.

თქვენი მშობლები:
ზურა და ნონა გონაშვილები,
ტარიელ და მზია ნატროშვილები.

იყიდება

იყიდება ოთახნახევრიანი ბინა ჯეოსელის ოფისის გვერდით ორ სართულიან კორპუსში, მეორე სართულზე. ბინას აქვს ავტოფარეხი, მიწის ფართი. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ
555-17- 33- 39
ან
568- 15- 26- 18.

იყიდება

იყიდება სამოთახიანი გარემონტებული ბინა ლოჯიით კორპუსში მე-III სართულზე. ავტოფარეხით. ჰერეთის ქუჩა N29.
591 977 391

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 21.07	სამშაბათი 22.07	ოთხშაბათი 23.07	ხუთშაბათი 24.07	პარასკევი 25.07	შაბათი 26.07	კვირა 27.07
26 ° / 21 °	24 ° / 19 °	28 ° / 24 °	29 ° / 24 °	30 ° / 23 °	27 ° / 24 °	26 ° / 23 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K